ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43
ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენაზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ფრანგულ-ინგლისურ-ებით ასოზე—1 კ.პ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., ჰატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲘᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐ“ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐ.

ᲮᲣᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲓᲐᲛ ᲕᲘᲓᲠᲔ 1878 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲐᲜᲕᲠᲐᲛᲓᲘᲜ

მიიღება თფილისში, „დროების“ რედაქციაში (ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებში „დროების“ აგენტებთან.

ᲤᲐᲡᲘ ხუთი თვის გაზეთისა—4 მან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲚᲐᲜ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘ, 4 აგვისტოს. იზმაილ-ფაშა, რომელსაც თავის წინა ჯარები (ავანგარდი) ქედის აქეთა მხარისაკენ ჰყავს, ქვეითა ჯარის 40 ბატალიონით, 55 ზარბაზანით და აუარებელი ცხენოსანი ჯარით მესუნის ხეობაში აპირებს დაბანაკებას.

მომქმედი კორპუსის უმთავრესი ძალა მუხთარფაშის ბანაკებსათვალიერებს. ბრუზინსკის პოლკი ბატარეიებით, 27 ივლისს ხადჟი-ვალის მიუახლოვდა; ამდღესვე ოსმალოს ცხენოსანი ჯარის 2 ათასმა კაცმა უკან დაჰხია ბაშ-ᲙᲐᲓᲘᲙᲚᲐᲚᲠᲗᲐᲜ მდგომა რუსის ჯარი, მაგრამ ამ დროს მოასწრეს: ᲛᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲣᲐᲖᲮᲔᲑᲘᲡᲞᲝᲚᲙᲛᲐ, ორმა ბატალიონმა ელიზავეტოპოლის პოლკისამ სევერსკის, პოლკის დრაგუნებმა ოთხის ზარბაზნით და მტერიც უკუ აქციეს. დარჩათ 20 კაცი მოკლული. ჩვენ 2 ყაზახი მოგვიკლეს და ორიც დაგვიჭრეს.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲞᲝᲚᲘ, 4, აგვისტოს. პირველს აგვისტოს თათრები დასცემია ახოტნიკების კამანდას, რომელიც, კაპიტანის ᲙᲚᲔᲩᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ წინამძღომლობის ქვეშ, ᲭᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲤᲚᲐᲜᲒᲘᲐᲡ ᲑᲐᲜᲐᲙᲔᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲰᲧᲝᲤᲘᲚᲐ, მაგრამ ქართველების მეორე დრუჟინის ორი სოტნის დახმარებით, მათ მტერი ისევ უკუ-უქცევიათ. ᲐᲛ ᲡᲠᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲐᲜ ᲒᲔᲛᲔᲑᲛᲐ და ჩვენმა და მტრის არტილერიამ. ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘ ᲛᲓᲘ. ᲐᲬᲧᲣᲐᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲒᲐᲜᲣᲦᲔᲕᲜᲘᲐᲗ. ᲛᲝᲙᲕᲔᲘᲙᲚᲔᲡ 23 და დაგეიჭირეს 38 სალდათი.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 3 აგვისტოს. მართებლობისაგან გამოცემულის ცნობიდამ ჩანს, რომ რუსებს მიუტოვებიათ ᲔᲜᲘ—ᲖᲐᲒᲠᲐ, ᲣᲐᲖᲐᲜᲚᲘᲧᲘ და ᲑᲐᲚᲙᲐᲜᲘᲡ იქითა სხვა ადგილებიც.

ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 3 აგვისტოს. რუსების სლაბოდზეველი ბატარეიები რუშჩუკს ყუმბარებს უშენდნენ. ამისგამო გაჩენილი ცეცხლი შუაღამემდინ არ დაწყნარებულა. დღეს დილის 5 საათიდამ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘ ᲭᲣᲠᲭᲔᲕᲝᲡ ᲣᲨᲔᲜᲔᲜ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲡ; რუსები კი პასუხს არ აძლევენ.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲖᲚᲕᲠᲘᲓᲐᲛ, 29 ივლისს. („დროების“ კორრესპონდენცია) დღეს დილით ერთი მილიციონერი, ᲪᲝᲢᲐᲗ ᲤᲔᲮᲨᲘ დაჭრილი, შემხვდა და მიამბო, რომ გუშინ ᲩᲐᲚᲓᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲛᲔᲑᲘ, 12 ცხენოსანი დაეცა ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲨᲘ Ს. ᲮᲐᲜᲩᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲯᲝᲒᲡᲐᲝ და ᲯᲝᲒᲘ გაირეკესო. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲘ და ᲣᲮᲔᲘᲠᲝ ᲡᲝᲛᲮᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ მილიციამ გამოუდგა მათ, მაგრამ—როდესაც მოგვიბრუნდნენ თარაქამები, ჩვენი მილიციაშიშით სადღაც გაქრაო და ხანჩალო კი არა, სოფ. ᲔᲛᲢᲘᲐᲡ იქით გაირბინეს; მე უკან დავრჩიო და ფეხშიც მომდესო. ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲡ თაობაზედ გენერალ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲡ ტელეგრამაც გაუგზავნეს.

ᲐᲛ ᲖᲔᲛᲝ აღწერილი შემთხვევის გარდა, ოთხი ხუთი დღის წინათ, სომხების მილიციონერებიდგან დადცულს ᲓᲣᲮᲐᲑᲝᲠᲔᲑᲡᲐᲪ დაეცნენ რამდენიმე ᲩᲐᲚᲓᲘᲠᲘᲡ და ᲝᲠᲗᲣᲚᲘᲡ სანჯახის თარაქამები; 200 ცხენზედ მეტი გაირეკეს. მილიციონერები და მათი სოტნიკი ბებერი ᲢᲔᲠ-ᲚᲔᲜᲔᲡᲝᲕᲘ პირ-დალებულები დარჩნენ, ბუზების საყლაპავად

ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მაზრის ყოველთვის აქამდე ამისთანა ყაჩაღებიდგან დაჩაგრულობაზედ ლაპარაკისას მკითხველი ნებას მომცემთ და უფ. რედაქტორიც უარს არ მიბრძანებს მის დაბეჭდვაზე თავის პატივცემულს გაზეთში.

რაღა თავი შევაწყინოთ,—გულში ალი ტრიალებს! ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ღარიბიც კი ვარ, მაგრამ კი ველარ მოვითმენ; თვალიც ეხლა დაგვიდგა ახალქალაქელებს, რომ ᲩᲐᲚᲓᲘᲠᲘᲡ მაზრის მმართველად დანიშნეს უფ. ᲭᲐᲜᲐᲠᲝᲕᲘ. ᲭᲐᲜᲐᲠᲝᲕᲡ აქვს ფულის ინტერესი—ასი თუმანი ათასად გახადოს. ᲐᲛᲘᲡᲗᲐᲜᲐ კაცს განა ექნება ღარიბი ხალხის შებრალება და დაცვა მმართებლობის ინტერესებისა?

ᲔᲡ რომ გამოცდილი იყოს ძალიან ადვილია შეჩერება ყაჩაღებისა; ᲩᲐᲚᲓᲘᲠᲘᲡ თარაქამები მშიშრები არიან, ესე იგი, ძალიან ᲔᲨᲘᲜᲘᲐᲜᲗ მაზრის უფროსისა, მაგრამ, ᲩᲕᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ მებრ, თათრული მებიიდიჯს (შვიდ მანეთიანი ოქრო) დათვლის იმედი აქვსთ.

ᲐᲛ მაზრის უმფროს, რომ მედუქნები არა ჰყავდეს თანამოსამსახურებათ და თანაშემწეთა, არამედ გამოცდილი და პატიოსანი კაცები, მაშინ ისინი მალე დაიჭერდნენ იმ ᲩᲐᲚᲓᲘᲠᲘᲡ ავაზაკებს, რომლებიც ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მაზრას სტან-

ჯვენ. ამისთანა შემთხვევების გამო ახალ-ქალაქის თათრებმაც, როგორც დავრწმუნდი, ყურები წამოცქვიტეს. მე ჩემის ყურით გამიგონია აქაური თათრებიდგან, რომ სადაც ჩილდირის უმფროსი იმყოფება, იქ ახლო რამდენიმე სოფელია და ისინი ყაჩაღობენო, ესე იგი, სუხარა, ჭალა, ყარაყალა, ჩანდურა, დიდი და პატარა ჯამბაზი, სადაც ყაჩაღს (ახლა მკვდარს) ძორ ისმეილას ბუდე ჰქონდა. მაშ მ-ზ'რის უმფროსი თვალით უყურებს და როგორ ვერ აღმოაჩენინა აქამდისინ ავაზაკები?

ჯავახი

აზიის ბრძოლის ველიდამ

ვენის გაზ. Presse“-ში იწერებიან 24 ივლის თფილისიდამ: რუსებმა დაიჭიეს, არპაჩაის მარცხენა მხარეზე მდებიარე ქალ. ანი და შემდეგ მახასბერი და დიგორი. ოსმალოს ჯარების მარჯვენა ფლანგი უარსს მიუახლოვდა, თავ, მუხტარი კი ათ როგორც ანბობენ. ჯერ კიდევ არდოსტში იმყოფებაო.

—

— აზიის ოსმალოს არმიაში მყოფი კორრესპონდენტი გაზ. „Times“-ისა 24 ივლის სხვათა შორის იწერება, რომ ღენ. ტერ-ლუკასოვის ატრიადს კიდევ ოთხი ბატალიონი შეჰმატებია ამჟამად. ის ამ ჯარებით ინგდირში და ალაპაში არი დბანაკებულიო. რუსის უმთავრესი კვარტირა კი ბურუქ-დარაში იმყოფებაო და ბანაკები—არტაანში, პენიაკში, უარსზე ჩრდილოეთიდ და ბიულაევრდში ჰყავსთო.

—

— „ბირშის აგენტობას“ აცნობებდა 25 ივლისს ერევნიდამ, რომ ბაქოს ყაზახების პოლკმა დაიჭირა მდ. არაკსით სპარსეთის მოსამზღვრე ადგილებიო. ეს პოლკი თ. ჩოლაყაშვილის პოლკის მაგივრად გადმოსულა აქ, რომელიც ინგდირში მდგომი ღენ. ტერ-ლუკასოვის ატრიადის შესამატებლად გაუგზავნიათ ოსმალეთიდამ გამოქცეულს სომხებს ერევნის გუბერნიაში, უარაბაზში, ბორჩალოში და ალუბაზე ასახლებენო, სადაც მუქთად აძლევენ მიწებსაო.

—

— სომხეთში მყოფი ოსმალოს არმიასთან გაზ. „Times“-ის კორრესპონდენტი იწერება: მუხთარ-ფაშა ყოველ ღამის ძიებას ხმარობს, რომ ბურთების ავკაცობა დასტუკოს. ბევრნი იმათგანი-სათვის, რომელნიც საფლავიდამ სთხრიდენ მიცვალებულებსა, რომ გაეცარცვათ, დაუჭირავთ და სიკვდილით დასჯა გარდუწყვეტიათ. ამგვარი ბრძანება გაუცია მუხთარ-ფაშას იმ ოსმალელების დასასჯელათაც, რომელნიც ბაიაზეთში დაუჭირავსთ თავათ დანაშაულობის დროს.

—

— გაზ. „Times“-ს სწერენ, 24 ივლის ბათუმიდამ: ჯავშნიან გემს „მახმუდიეს“ ახმედ-ფაშის წინამძღოლობით, ჰქონდა ბრძოლა რუსის ბატარეიებთან ოჩამჩირეში 17-ს ივლისს, რომელიც ორი საათის განმავალობაში არ შეწყნარებულა. რუსების ზარბაზნები, თუმც ხეებს კი ეფარებოდნენ, მაგრამ მაინც ეფთობ შელახეს და დიდი ზიანი მისცის თავათ ბატარეიებსაც ზობარტ-ფაშა სოხუმიდამ მოსულა ბათუმში, რომ მოელეპარაკა დერვიშ ფაშასთან—სად დასახლებიათ აფხაზების ემიგრანტები. რამდენიმე ათასი ოჯახი აფხაზებისა, რუსებისაგან დაშინებულები, სტოვებენ თურმე თავიანთ სახლ-კარს, ჭირ-ნახულს, და გადმოდიან ოსმალეთშიო. რუსები ძიელ ცდილობენ თურმე, რომ ეს გარდასახლება როგორმე მოუსპონ აფხაზებსო.

ევროპის ბრძოლის ველიდამ

— „რუსის ინვალიდში“ დაბეჭდილია, რომ ნიკოპოლის იერიმიშ დროს სულ 25 აფიცერი და 1272 სალდათი მომკვდარა რუსის ჯარიდამ; პლევნასთან კი 2771 სალდათი დაუხოცია; არტილერიისა და ცხენოსანს ჯარს იმდენი არაფერი ზარალი მისცემია.

—

— ვენიდამ იწერებიან, რომ შუმლიდამ მოსული ამბებიდამ ჩანსო, რომ აიასლართან, რაზგრადიდამ სამხრეთის მხრით, შეტაკება მომხდარა ოსმალოსა და რუსის ჯარებს შუა, როდესაც ეს უკანასკნელნი იქაურს ახლო-მახლო ადგილებს ათვალიერებდნენო.

—

—„Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია, რომ სულეიმან-ფაშა შიპკოს გასავალს მიახლოვებია.

—

— გაზ. „Times“ სწერენ ვარნიდამა: დობრუჯაში რუსის ჯარი ამ უკანასკნელს დროს სრულებით უმოქმედოთ იმყოფება. ერთი კალონა ამ ჯარისა მეჯიდესა და სილისტრიას შუა დგასო, მეორე უმთავრესი კალონა, რომელიც ბოზარჯიკამდი სწედებოდაო, ისევ მეჯიდიესაკენ დაბრუნებულაო.

—

— „Daily Telegraph“-ში იწერებიან შუმლიდამ, რომ რუსები დობრუჯას სცლიანო და ამ ადგილას დაბანაკებული ჯარები ისევ დუნაიზე (უკან) გარდასვლას ეპირნბაო— ე. ი. უკან ბრუნდებაო, რომ სისტოეოში მდგარს ჯარს შეუერთდესო.

—

— ვენის გაზეთში „Neue Freie Presse“-ში იწერესიან შუმლიდამ 25 ივლის, რომ აუარებელი რუსის ჯარი ბალკანს ლომისაკენაო. რაზგრადზედ იერიშით მისვლას დარწმუნებით ლაპარაკობენ. დღეს 26 ივლის რუსის ჯარის, სამს ესკადრასა და ჩერქეზებს შუა შეტაკება მომხდარა ალიჯუმთან. სილისტრიის სიხის კომენდანტი იწერება, რომ რუსეთის ბანაკიდამ სახეთქა ყუმბარებს გვიშენენო,

—

„ბარშის აგენტობას“ მოსვლია ამბავი შუმლიდამ:

„ფუად-ფაშას რუსჩუკის გარნიზონით პიზანცის სიახლოვეს სიმაგრეები აქვს მოკავებულიო. დღეს აქ ორი მზვერავი (შპიონი), რომელსაც რუსის ჯარის უმთავრესი შტაბის ინსტრუქციები უნახეს, დახვრიტეს.

საქართველო

დღიური

*** ჩვენ მივიღეთ მუკუზანიდამ შემდეგი შემთხვევის აღწერა:

„ამ ივლისის 24 ს მუკუზანის სტანციაში მოხდა შემდეგი უბედურება: ოთხი იმერელი, უბილეთობის გამო შეპყრობილნი, სილნაღიდამ თელავს გამოუგზავნიათ ყარაულით. მუკუზანს რომ მოსულიყვნენ ერთი მათგანნი ხელბორკილიანი გასაქცევათ გასხლტომოდათ ხელიდამ, მაგრამ ყარაულს მალე მოეს-წრო და, როგორც გვიამბო, „თოფის კონდახი წაეკარ თუ არა, მაშინათვე წაიქცა და მეც ზედ წავაწექი; ამ დროს მოვარდა უნტერ-აფიცერი, მაშინათვე ხიშტი აძგერა და ერთიდამ მეორე მხარეზედ გაახელა და ცოტა ხანს უკან სულიც დალია.“

ამ მოკლულის შესამოწმებელად დოქტორი და გამომეძიებელი იყვნენ აქ; მაგრამ არა მგონია, რომ იმ სალდათ-ყარაულს როგორც, ჩვენ გვიამბო, იმათთვინაც ისე ეჩვენებინოს, თორემ უნტერ-აფიცერის ბრაზიან ღულს, მგონია, გააცოდვილებდნენ, რადგან შეპყრობილს ცუდსაც არას ეტყვიან, არათუ ხიშტზედ ააგებენ და ეს თოფის კონდახით რეტ-დასხმით წაქცეული ხომ შეპყრობილი ჰყოლია ყარაულსა და ზედ სწოლია....“

*** უფ. სერჟპუტოვსკი იწერება დ. ონიდამ, რომ გასული ივლისის 27-ს ონში და სიზოგადოთ რიონის ნაპირა სოფლებში მიწის-ძვრა იყოვო. განსაკუთრებით ძლიერი ყოფილა ეს მიწის-ძვრა სოფ. უწერაში, საცა, როგორც მიამბესო, ზოგიერთი ქვითკირის სახლების კედლებიც კი დაინგრაო.

ეს გარემოება იმითია შესანიშნავი, რომ რაჭისაკენ მიწისძვრა კაცს არ გაუგონია.

*** იმერეთიდამ გვწერენ, რომ ზოგიერთი ჩვენი „განათლებული“ ექიმები იქაურს ზოგიერთს უეზდებში ძრიელ დიდს უწესოებას ჩადიან გლეხებთანაო. „მაგალითად, იწერება ჩვენი კორრესპონდენტი, როდესაც რომელიმე ექიმს სადმე სოფელში წასვლა დასჭირდება, ჩაფრების პირით ატყობინებს მამასახლისებს, რომ ცხენი გამომიგზავნეო და ან ამა-და-ამ სოფელში ცხენი დამახვედრეო. მამასახლისიც უეჭველად უშოვნის ცხენს და ან ბრძანებისამებრ დანიშნულს ადგილას ახვედრებს. ექიმი, რამდენ ხანსაც ჰსურს, თან იყოლიებს ამ ცხენს, დადის ამუშავებს ან თავის ფერშალს შესვამს ზედ და ერთი სოფლიდამ მეორეში აგზავნის. ამ დროს ვინ იცის ცხენის პატრონი საწყალი გლეხი კი რა ამბავშია ან რა გაჭირვებაში? — ეგების იმ ერთი ცხენის მეტი მას არც დამხვნელი, არც მწარე ოფლით მოყვანილი ნამუშევრის შინ შემომზიდველი და არც სადმე წამყვანი არა გააჩნია-რა“.

თუ ეს ამბავი მართალია, ის მით უფრო გვაკვირვებს, რომ, რამდენათაც გაგვიგია მმართებლობისაგან დანიშნული ჩვენ უეზდის ექიმებს, გზის ფული (პრაგონები) ეძლევათ, რომელიც განათლებასთან ერთად მათ უნდა აფიქრებინებდეს, რომ ხანდისხან გაცხარებული მუშაობის დროს, ან საზოგადოთ როდესაც უნდა იყოს საწყალი გლეხის უცხენოთ დატოვება ულმერთობა და კაცთ მოყვარეობის გმობაა.

*** ერთმა მთაწმინდელმა დედაკაცმა შემოგვჩივლა, რომ ერთი კვირა მეტია, რაც ცამეტის წლის შვილი დავკარგეო და ჯერაც ვერსად გვიპოვიაო. შეაკვირვებს ამ დედის გული, რომ იმდენი ვერა მოუხერხებია, რომ პოლიციისათვის შეეტყობინებია, თავის შვილის დაკარგვა.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქილილა და მანის გამოსაცემლად, წრე შემდგარა რომელსაც უნდაო, თუ სრულიად ვერ მოახერხა მთელი თხზულების დაბეჭდა, მისი ორი ნაწილი მაინც დაბეჭდოს ექვს განყოფილებათაო. პირველს ნაწილში, სხვათა შორის, დაბეჭდილი იქნებაო მეფე ვახტანგის ანდერძი, მისი ძირმანს მიწვევა შაჰისაგან და მისივე შაირებიო.

*** გენ. ალხაზოვის ატრიადიდამ მოსულმა კაცმა გვიამბო, რომ თათრებს ისე არ აუოხრებიათ და გადუწვამთ სოხუმიო, როგორც ამას გაზეთებში იწერებოდნენო. ეს ამბავი სოხუმის მცხოვრებლებისა და ვაჭრებისათვის გასახარელი უნდა იყოს, რადგან როგორც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინეთ მოხსენებული თათრები სოხუმის ქალაქს და მთელი მაზრის მიტოვებას აპირებენო.

*** საკვირველი ხალხია ეს ჩვენი ქალაქელი ხალხი! შეუტყვია, რომ „სერბიის გმირი“ გენ. ჩერნიაევი ჩამოსულა ქალაქში და, დასდევს უკან ამ შესანიშნავ „გმირს“.... ამითი უნდა აიხსნებოდეს ის რემოება, რომ გენ. ჩერნიაევი კარგა შუაღამემდინ აღარ გამოდის სასტუმროდამ....

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ამ ჟამათ სამზღვარ გარეთელი გაზეთები ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ მიტჰად-ფაშაზე და მინ მიმართულებაზე სხვა და სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან. — მითჰად ჯერ კიდევ ვენაშია და დარწმუნებით არავინ იცის თუ სად წავა ის ვენიდამ — ზოგი ამბობს ლონდონში გაემგზავრებაო, ზოგი პარიჟში მიელიან მას, საიდამაც ლონდონში წავა და შემდეგ დაბრუნდებაო. ფრანციზული გაზეთის „Temps“ ვენელი კორრესპონდენტი კი ამბობს, რომ მითჰადი მალე ლონდონში წავა სულთანის ნებადართვითა, თუმცა არაფელი გვარი ოფიციალური მინდობილება მას არ ექმნება სულთანისაგან მიცემული ინგლისის მართებლობასთანაო. — ამავე გაზეთის ეს კორრესპონდენტი ამბობს, სხვათა შორის, რომ ვენაში ვითომც მითჰადი ცდილობდაო, რომ გრაფ ანდრაში დაეთანხმებინა ოსმალეთსა და რუსის შუა მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე, მაგრამ იმ პირობით კია, რომ „აღმოსავლეთის კითხვა ისევ ისე დარჩენილიყო როგორც ომის წინეთ იყო — statu duo ante bellum“ ამბობენ ლონდონის კაბინეთთან მოლაპარაკების დროსა ამ ჰაზრის გაყვანა უნდა მითჰადსაო“ — ამბობს მოხსენებული გაზეთის კორრესპონდენტი. —

— დუნაის არმიის ახალი სარდალი, მეჰმედ-ალი-ფაშა, რომელიც 21 ივლისიდამ შუმლაში იმყოფება, უცბათ გამოუწერია სულთანს მოსალაპარაკებლათ. სულთანს ის დიდის პატივის ცემით მიუღია. მიმინიჭებია მისთვის განუსაზღვრელი უფლებაები და სხვათა შორის, იმ გენერლების, აფიცრების და სალდათების დაჯილდოების ნებაც მისცა, რომელთაც ამ უკანასკნელს დროში მამაცობა გამოიჩინეს. —

აუდიენციის შემდეგ სულთანმა აჩუქა მას ძვირფასი ბრილიანტებით შემკობილი ხრმალი, ერთი წყვილი საუკეთესო მოლემის ცხენი და ხუთასი სივრი გზის ფულათ. — სულთანმა ჰკითხა-თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამათ დუნაის არმია. მეჰმედ-ალიმ [illegible] რომ დუნაის არმია ძრიელ [illegible] მდგომარეობაში იმყოფება ამ ჟამად, მაგრამ სუ ის თავის პასუხის გებაში იღებს ყველაფერს იმ შემთხვევაში, თუ კი ოსმან-ფაშა ერთი კვირის განმავალობაში ვიდდინის დივიზიით პლევნას მიაღწევს. —

საგაასო

შვალო რედაქტორო!

თქვენის პატივცემულის გაზეთის მე 87-ს ნუმერში, მე წავიკითხე ამბავი მალაროელის: "სიღნაღის პრისტავმა ა. ვ. ერთი ანაგელი მცხოვრები ქ. სიღნაღში შემორიცხა და ამით კაი ფულები აიღოო."

იქ სიღნაღში პრისტავი ა. ვ. მე გახლავართ და ეს ხსენებული კორრესპონდენტიც მალაროელისა მე უნდა შემეხებოდეს, მაშასადამე ზნეობითად ვალდებულ ვერ პასუხათ მე მოგახსენოთ შემდგომი:

გამორიცხვა რომელსამე პირისა ერთის საზოგადოებიდან და მისი შერიცხვა მეორე რომელშიმე, არის დამოკიდებული, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენის საყოველთაო კანონის ძალით, თვით იმა საზოგადოებათა საკუთარს სურვილზე, რომელთაგან ერთი-თვისის განჩინებით გაანთავისუფლებს და მეორე — შერიცხავს თავის საზოგადოებაში; ესრეთი განჩინებაები მთხოვნელის მიერ წარდგება კაზიონის პალატაში, რომელიცა, რა მიიღებს ადგილობრივი უეზდის უფროსისაგან ცნობას მაზედ, რომ ეს განჩინებაები ნამდვილად წოდებულთ საზოგადოებათაგან არიან გამოცემულნი, მაშინ მოახდენს განკარგულებას, გამორიცხვისათვის ერთის საზოგადოებისაგან და შერიცხვისათვის მეორესაში, რითაც მთხოვნელი შეიქნება დაკმაყოფილებული. ამ კანონის შინაარსის ძალით, როგორც თქვენც თითონ მოგეხსენებათ მე ჩემის პრისტაობით არა ვითარიმე გავლენა არ მექნებოდა სასარგებლოდ კორრესპონდენციაში ხსენებულის ანაგელისა, არც თვითონ ანაგის საზოგადოებაზე, არც სიღნაღის საზოგადოებაზე და არც კაზიონის პალატაზე, მაშასადამე ამ ანაგელიდამ ქრთამის აღება ჩემგან ჩნდება, ამ საბუთებისა გამო, ნამდვილს ცილის-წამებად, რაიცა არ შეუძლიან არ დაამტკიცოს, საჭიროს დროს, თვითონ იმ ანაგელთაც. მე როგორათაც ჩემი მთავრობა, ეგრეთვე ადგილობრივი საზოგადოება, რომელის შუაცა ვსცხოვრებ, აგერ თხუთმეტი წელია, უკეთ

მიცნობენ და, მადლობა უფალს ამ სენს— მოქრთამობას ვერ შემომწამებენ, და მიტომ არც ყურადღების მიქცევის ღირსი იყოლია ჩემის მხრით ეს აღნიშნული მაღაროელის ცილის-წამება, მაგრამ რადგან ამ უფალს აქა-იქ თავი მოუწონებია ამ ამბის შემთხვევით და მუქარება გამოუთქვამს: “დამაცალოსო, ამითი ვერ გადარმიჩებაო,—კიდევა მაქვს მასალებიო“, შესაძლებელია მისგან ძრიელ ადვილათ, რომ სხვაც რამ კიდევ ამ გვარი გამოიგონს და ჩემთა უცნობთ პირთ მერავდენემე ნაწილი მაინც მიიღონ ჭეშმარიტად, ამისათვის აუცილებლად საჭიროდ ვრაცხ ამ საქმის გამოაშკარავებას და მაღაროელის ნამდვილის სახელისა და გვარის გამოცხადებას.

ვინც უნდა იყოს ეს უ. „მაღაროელი“, რომელთანაც მქონდა მე, როგორც თანამდებობის პირსა, საქმე და მისთვის გამოძიებას ქვეშაც არის ის მიცემული, ვეჰვობ მე ზედ-მიწევნით, რომ ჩემის კანონიერის მოქმედების სამაგიეროდ შემომწამებს მე იგი ამ ცილს „ჯავრის ამოსაყრელად“, რასაკურველია, მაგრამ მაინც და მაინც საჭიროა ჩემთვის გამოცხადება თქვენის რედაქციის მხრით ამ ამბის ნამდვილის ავტორის სახელისა და გვარისა, რო მოვითხოვო უეჭველად ჩემი დაკმაყოფილება, ესრეთის მისგან ჩემის შეურაცხებისა და ცილ-წამებისათვის, ჯეროვანს სასამართლოში. ამისთვის უმორჩილესად ქთხოვთ, უფალო რედაქტორო, ინებოთ და მისცეთ ადგილი ამ ჩემს მცირე თავის გამართლებას მახლობელს თქვენის პატივცემულის გაზეთის ნომერშ, პასუხათ „მაღაროელის“ კორრესპონდენტისა და მასთან გამოცხადებით სახალხოთ მისის ნამდვილის სახელისა და გვარისა. წინაღმდეგს შემთხვევაში იძულებულ ვაქნები ვითხოვო დაკმაყოფილება თვით თქვენგან, უფალო რედაქტორო, მით უმეტეს რომ „მაღაროელს“ როგორც ჯერეთ ისევე სუსტს ლიტერატორს, ჰყვანდეს უნდა უეჭველად თავისებრ კაის კაცობით განთქმული თანაშემწეცა.

ქ. სიღნაღის პრისტავი, თ. ალექსანდრე ვაჩნაძე
ქ. სიღნაღი 26-ს ივლისს

რედაქციისაგან. ჩვენ დიდის ყმაყოფლებით ვასრულებთ ქ. სიღნაღის პრისტავის თ. ა. ვაჩნაძის პირველ თხოვნას და, როგორც თავათაც დარწმუნდება მას თავის მართლების ადგილს ვაძლევთ ჩვენს გაზეთში. მის მეორე თხოვნაზე ე. ი. უ. მაღაროელის ვინაობის გაცემაზედ, ეგრეთვე დიდის კმაყოფილებით სრულ უარს ვეუბნებით თ.-ვაჩნამეს.—როგორც ამ თქვენი თავის მართლებიდამ სჩანს თქვენ, უ. ვაჩნაძე, თქვენი კანონის დაცვა გყვარებიათ. ჩვენს რედაქციასაც თავის კანონები აქვს, რომლის დარღვევაც, როგორც ხშირად გამოგვიცხადებია, ჩვენგან ყოველად შეუძლებელია.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲓᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲓᲐᲛ
ᲚᲔᲥᲡᲘ
** Თ. Ი. Ზ. ᲩᲝᲚᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲖᲔᲓ**
ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ
ᲗᲥᲛᲣᲚᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲘᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ **ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ** სხვა და სხვა წიგნის მაღაზიებში.

ᲤᲐᲡᲘ ყველგან ორი შაური.

ᲰᲡᲣᲠᲡ ᲗᲐᲘᲧᲕᲐᲜᲝᲜ ᲧᲛᲬᲕᲘᲚᲔᲑᲘ, რომელნიც უნდა ქონდეს სასწავლებელი დაბალი კლასებისა, მოსაკრებზადებლად: ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ შეუძლიათ აასრულონ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲘᲩᲙᲝᲑᲐ, როგორაც იყოს კანტორა, ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲝᲑᲐ. იკითხეთ ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში, დიდი პოლიციის ქვეშ.

ᲛᲘᲘᲪᲔᲛᲐ ᲥᲘᲠᲘᲗ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘ პოლკოვნიკის ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲘᲡᲙᲘᲡᲐ, ᲕᲔᲠᲐᲖᲔ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ. ᲡᲣᲚ ᲝᲗᲮᲘ ᲤᲚᲘᲒᲔᲚᲘᲐ, ᲠᲚᲒᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲔᲥᲕᲡᲝᲗᲐᲮᲘᲐᲜᲘ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲘᲥᲕᲔ ᲔᲖᲝᲨᲘ; ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲤᲚᲘᲒᲔᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ ᲡᲐᲛ-ᲡᲐᲛᲘ ᲝᲗᲐᲮᲘᲐ.

(3—1)

ᲥᲘᲚᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲜᲐ,

ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲞᲐᲠᲡᲣᲚᲘᲓᲐᲛ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲛᲔᲤᲔ **ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡᲐᲒᲐᲜ** ᲓᲐ ᲒᲐᲚᲔᲥᲡᲘᲡ **ᲡᲐᲑᲐ ᲡᲣᲚᲮᲐᲜ ᲠᲒᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ.** ᲡᲠᲣᲚᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲓᲐᲛᲘ ᲩᲐᲡᲛᲣᲚᲘ. ᲤᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ.

„ᲙᲔᲙᲔᲗᲘ“

ᲡᲐᲠᲓᲫᲔᲚ ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲡ „ᲙᲔᲙᲔᲗᲨᲘ“, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ: ᲙᲐᲠᲐᲥᲘ, ᲜᲐᲦᲔᲑᲘ, ᲛᲔᲢᲐᲜᲐ, ᲢᲝᲠᲝᲒᲘ, ᲧᲕᲔᲚᲘ, ᲣᲦᲣᲦᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲣᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲫᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲬᲜᲝᲜ.—

ᲐᲛ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗ ᲥᲝᲯᲝᲠᲨᲘᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲜᲗ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲝᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘᲡ, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „ᲙᲔᲙᲔᲗᲘ“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც ᲧᲣᲩᲘᲜ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲘᲧᲝ.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
შვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია.	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
შვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი.	9	31	7	56	9	75	5	42

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

	მ.	კაპ
ᲝᲪᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:		
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲤᲝᲗᲘᲡ . .	1	—
ᲑᲝᲠᲘᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ, ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘᲡ	-	50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ, ᲝᲓᲔᲡᲐᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ . .	2	—
ᲝᲡᲛᲝᲚᲔᲗᲨᲘ, ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐᲨᲘ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲕᲘᲡᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲡᲐᲛᲖᲦᲕᲐᲠ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲒᲓ. ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨ. ᲝᲖᲣᲠ.—ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. ᲓᲐ ᲝᲠᲨ. ᲥᲐᲖᲔᲗᲘᲡ—ᲡᲐᲛᲨ. ᲓᲐ ᲨᲐᲑ. Ბ) ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ: ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ—ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ—ᲝᲠᲨ. ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙ.

ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲔᲜᲐᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ:		
ᲚᲘᲐ ᲬᲘᲗᲜᲘᲡ		4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (ᲡᲐᲛᲘ ᲛᲘᲡᲘᲡᲚᲘ) .		8

ᲑᲘᲠᲟᲐ

	მან.	კაპ
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 2 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ		
ᲔᲠᲗᲘ ᲠᲐᲜᲓᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 24 ᲞᲔᲜᲡᲘ.	—	78
ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ 262 ᲤᲠᲐᲜᲙᲘᲡ.	—	81
ᲛᲡᲙᲝᲜᲢᲘ (ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ)	7½	—
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	94	—
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡᲔᲣᲚᲘ)	207	—
ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲔᲠᲘ)	207	50
ᲑᲘᲠᲟᲐᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. ᲡᲐᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ.	—	—
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ (5½)	83	—
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . .	90	50
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲠᲝᲓᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	158	—
ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ. ᲠᲙᲘᲜ. ᲒᲖᲘᲡ	—	—
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡ	465	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	203	—
ᲞᲘᲠᲕ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖᲝᲒ.	735	50
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	235	50
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲔᲕ. ᲡᲐᲖ.	268	—

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 4 ᲐᲒᲘᲡᲢᲝᲡ		
ᲤᲥᲕ. ᲗᲔᲗ. ᲑᲐᲜᲯᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗ.	1	20
ᲤᲥᲕᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ. . .	1	—
ᲛᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ. . . .	—	70
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	7	—
—ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ. .	8	50
ᲑᲐᲠᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗ.	7	80
ᲛᲐᲢᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗ .	6	—
—ᲗᲐᲠᲐᲥᲐᲜᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ. .	3	80
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲨᲣᲠᲘ ᲡᲢ.	2	20
ᲥᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	5	50
ᲥᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	6	20
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣᲗ.	12	—
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲝᲠᲮᲘᲡᲐ. ᲚᲘᲢ.	—	54
—ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	54
ᲡᲠᲘᲢᲘ, ᲒᲠᲐᲓᲣᲡᲘ .	—	12
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	80
—ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	7	50
ᲨᲐᲕᲐ ᲒᲠᲬᲕᲐᲚᲘ, ᲤᲣᲗᲘ .	25	—
ᲖᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡ ᲤᲣᲗ.	9	—
ᲠᲝᲥᲠᲝ ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	7	97

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Августа 1877 г. Типографія Меликова. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ